საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 1037/ი

30 10 2019წ.

ქ. თბილისი

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის კოორდინატორის 2019 წლის 29 ოქტომბრის №1473271 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული გადამზადების პროგრამები:
ა) ლითონის შედუღება და ჭრა (მესამე დონე);
ბ) ელექტრო ქვესადგურების მომსახურება (მეოთხე დონე);
გ) პროგრამები (Photoshop, Autodesk 3ds Max, Autodesk-Autocad) მშენებლებისათვის (მესამე დონე);
დ) ფინანსური ანგარიშგება დეკლალირება (მეოთხე დონე);
ე) სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება (მეოთხე დონე);
ვ) თმის ღებვა „კოლორისტიკა“ (მესამე დონე);
ზ) თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა) (მესამე დონე).
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ მახარაშვილი